



ბრძანება:ბ14.14242053

თარიღი:23/07/2024

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების ერთ ლოტად პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული
აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი
ინფორმაციის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების და დამდასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამდასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულების (ცვლილება: №გ-15.1524194001, 12.07.2024) შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩის ბოლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიმდებარედ არსებული 582,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.24.05.132) და ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №8-ის მიმდებარედ არსებული 147,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.24.05.234) ერთ ლოტად პრივატიზებისათვის.

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ლოტში

გაერთიანებული მიწის ნაკვეთების) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 2 013 500 (ორი მილიონ ცამეტი ათას ზუთასი) ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ერთ ლოტად პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

6. წინამდებარე ბრძანება (ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

